



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და  
სპორტის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო  
კონსერვატორია



თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,  
www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000052228835120

№ 02-90-R

02 / ივნისი / 2020 წ.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა


სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ნიკოლოზ ხორბალაძეს დაევალოს 2020 წლის 1 ივნისის რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელებაზე კონტროლი.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ნიკოლოზ ხორბალაძეს დაევალოს ბრძანებით განსაზღვროს 2020 წლის 1 ივნისის რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელებისათვის პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ:
  - ა) სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორ გამოყენებაზე დასაქმებულების/ ვიზიტორების/სტუდენტების და სხვა პირების კონტროლს;
  - ბ) თერმოსკრინინგის განხორციელებასა და მისი შედეგების აღრიცხვას;
  - გ) ინციდენტის აღმოჩენის შემთხვევაში რეაგირებას;
  - დ) სადებიზინფექციო სამუშაოების წარმოებას და მასზე ზედამხედველობის განხორციელებას;
  - ე) რეაგირების გეგმის განხორციელებაზე ზედამხედველობას.
3. ბრძანების კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის ვებ-გვერდის ადმინისტრატორს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის  
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერა/  
შტამგდასმულია  
ელემტრონულად 

ნანა შარიქაძე